გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

02 მაისი 2024

N 2-492

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „სტოკზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის 12 აპრილის N2-445 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 26 იანვრის N21 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „სტოკზე“ „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის 12 აპრილის N2-445 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „სტოკზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 206348371) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000043) შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 46 784 კგ;
- R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 24 852 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 13 000კგ;
- R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 1 582კგ;
- R417A (HFC-125/ HFC-143a/R600) - 500კგ;
- R452A (HFC-32/HFC-125/HFO-1234YF) - 400კგ.
- დიფთორმეთანი (HFC-32) – 800კგ;
- R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 1 130კგ;
- R449A (HFC-32/HFC-125/HFO-1234YF/HFC-134a) - 400კგ.“

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სტოკს“;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე